


**შავი ზღვის აქსელერატორი მდგრადი ლურჯი ეკონომიკის მხარდასაჭერად – გამოცხადებულია კონკურსი თქვენი წინადადებების წარმოსადგენად!**

**შავი ზღვის აქსელერატორი** მხარს უჭერს მდგრადი ლურჯი ეკონომიკის წინადადებებს შავი ზღვის რეგიონში, რომლის მიზანია რეგიონში მდგრადი და ცირკულარული ინოვაციების ხელშეწყობა. პროგრამას ხელს უწყობს ევროკავშირის ჰორიზონტი 2020 პროგრამის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის ორი პროექტი DOORS და BRIDGE-BS. DOORS-ის კონტექსტში მიზანია შემუშავდეს საქმიანობები, რომელიც მოწოდებულია ბიზნესის შექმნის, საზღვაო გარემოს დაცვის და საზღვაო ეკონომიკის ინოვაციების მხარდასაჭერად და ახალი საზღვაო ტექნოლოგიების განვითარებისკენ ლურჯი ეკონომიკის მდგრადი ზრდისთვის. BRIDGE-BS-ის კონტექსტში აქსელერატორი მხარს უჭერს შავი ზღვის კვლევებსა და ინოვაციებს ლურჯი ზრდის განვითარებისთვის ეკოსისტემური მედეგობის ფარგლებში.

**გამოცხადებული კონკურსი ღიაა აპლიკანტებისთვის (როგორც ფიზიკური პირების, ისე ორგანიზაციების) შავი ზღვის რეგიონიდან, ასევე რეგიონის გარე** განმცხადებლებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ახალი მეთოდების იმპორტს შავი ზღვის რეგიონში. სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება ასევე განაცხადების მიღება ტრენინგებისა და საკონსულტაციო სერვისების მეშვეობითაც, რომელთა მოწოდება შესაძლებელი იქნება ონლაინ. სერვისები მოწოდებული უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, თუმცაღა შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევებში განხილულ იქნას სხვა ენებიც (ექვემდებარება დაზუსტებას).

დასაშვებია როგორც განვითარებადი, ისე უკვე დამკვიდრებული (ბაზრისთვის მზადმყოფი) წინადადებების წარმოდგენა (ტექნოლოგიური მზადყოფნის დონით 4 ან უფრო მაღალი) **თანამშრომლობის შემდეგ სფეროებში**:

- *ოკეანეზე დაკვირვება და მონიტორინგი*
- *პორტები, ტრანსპორტი და ლოგისტიკა*
- *მეთევზეობა და აკვაკულტურა*
- *ტურიზმი და რეკრეაციული საქმიანობები*
- *ლურჯი ბიოტექნოლოგიები და დაკავშირებული პროდუქტები*
- *მდგრადი და განახლებადი ენერგია*
- *ბუნებაზე დაფუძნებული მიდგომები და სერვისები (სანაპირო/საზღვაო)*

რა სახის მხარდაჭერა შეგიძლიათ მიიღოთ **აქსელერატორის** მხრიდან თქვენი იდეისთვის?
*• ექსპერტული მხარდაჭერა > ბაზრის ანალიზი ან სხვა მხარდამჭერი სერვისები შემოთავაზებული ad hoc კონსულტაციების საშუალებით (ინდივიდუალური აპლიკანტები) იმ ტექნოლოგიებისთვის/მომსახურებებისთვის, რომლებიც კიდევ საჭიროებენ გაუმჯობესებას;*
*• სტარტაპების მხარდაჭერა > ღირებული ბიზნესის შემთხვევაში შესაძლებელია მენტორული მხარდაჭერის უზრუნველყოფა (პირდაპირ ან კომბინირებით სხვა ინიციატივებთან ერთად);*
*• დაფინანსების/ინვესტიციების ფასილიტაცია > 'ინვესტორთა პიჩინგის' ტიპის ტრენინგების სესიების შეთავაზება (ჯგუფურად) და მხარდაჭერა ფინანსებზე წვდომის მიმართულებით;*
*• ბაზრის ხელმისაწვდომობა (აპლიკანტები შავი ზღვის რეგიონის გარედან) > მხარდაჭერა სერვისის მიმწოდებლების დასაკავშირებლად პოტენციურ ადგილობრივ პარტნიორებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან შემოთავაზებული ტექნოლოგიებით/მომსახურებით – გადაწყვეტილებები უნდა იყოს მინიმუმ ტექნოლოგიური მზადყოფნის დონით 6.*

განაცხადები განხილვისას შემდეგი **ელემენტებით შეფასდება:**
- კონცეფცია და ინოვაციურობა
- გადაწყვეტის ზემოქმედება
- ბიზნეს მოდელი მთლიანობაში
- ინფორმაცია გუნდის შესაძლებლობებისა და სტრუქტურის შესახებ
- არსებული (შესაძლებელი) კაპიტალი გადაწყვეტის მხარდასაჭერად
- მოტივაცია და მოლოდინები აქსელერატორის მიმართ

**მხარდაჭერა მიწოდებულ იქნება გამოხატული საჭიროების საფუძველზე** როგორც ეს ასახული განაცხადის ფორმაში და დადგენილი ჯგუფური ტრენინგების შედეგად (ჩატარება გათვალისწინებულია ონლაინ). საუკეთესო აპლიკანტები (მაგ. ყველაზე ინოვაციური, საუკეთესო პროგრესი მქონე მხარდაჭერის პერიოდში, ზემოქმედების მეტი პოტენციალის მქონე) სიმბოლურად დაჯილდოვდებიან/გამოვლინდებიან 2024 წლის აპრილ/მაისში.

დაინტერესებულმა აპლიკანტებმა უნდა წარმადგინონ სათანადოდ შევსებული „შავი ზღვის აქსელერატორის განაცხადის ფორმა". კითხვების და დამატებითი საკითხების გასარკვევად მიმართვა შესაძლებელია ელ. ფოსტით შემდეგ მისამართზე: acceleratorblacksea@gmail.com

დამატებითი ინფორმაცია კონკურსის, მისი ვადების, შემოთავაზებული სერვისების შესახებ ხელმისაწვდომია BRIDGE-BS-ის ვებგვერდზე.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: **2023 წლის 31 ოქტომბერი**, 18:00 CET.